



საქართველოს სამოქალაქო
საზოგადოების განვითარების
ასოციაცია

ASSOCIATION FOR CIVIL SOCIETY
DEVELOPMENT OF GEORGIA

მისამართი: ქ. თეთრიწყარო,
მუსხელიშვილის 11
ტელეფონი: 590223583
ელ-ფოსტა: info@acsdg.ge

№ 01/02-49
07 მარტი, 2012 წელი

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის
დირექტორის მოადგილეს,
დავით მაჭავარიანს

ბატონო დავით,

მოგმართავთ ჩვენს მიერ ევროპის საინვესტიციო ბანკისთვის მიწერილ წერილთან (N01/02-47, 16.01.12) დაკავშირებით, რომლის საპასუხოდ თქვენ გამოგვიცხადეთ მზადყოფნა დანამშრომლობისთვის, რისთვისაც გიხდით მადლობას.

გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ჩვენს მიერ ევროპის საინვესტიციო ბანკისთვის მიწერილი წერილისა და მის საპასუხოდ თქვენი წერილის (N10-11/231, 31.01.12) რამოდენიმე დეტალზე.

უპირველესად გვინდა გაცნობოთ, რომ სარეზილიტაციო პროექტის დაწყებისთანავე ჩვენ მივმართეთ მუნიციპალური განვითარების ფონდს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს იმ კითხვებით, რომელიც გაგვიჩნდა პროექტის დაგეგმვასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილი N10-11/231 (31.01.12) მოიცავს იგივე ინფორმაციას (სარეზილიტაციო ქუჩების ჩამონათვალი და სარეზილიტაციო მაგისტრალის მონაკვეთის დასახელება, ვადები და პროექტის ღირებულება), რასაც მათი პასუხები. ამასთან ერთად, არც სხვა უწყებებისა და არც თქვენი უწყების წერილი, სამწუხაროდ არ პასუხობენ იმ კონკრეტულ კითხვებს, რაც ჩვენი აზრით ძალზე მნიშვნელოვანია პროექტის მართებულად გახორციელებისთვის და იმ უდიდესი პრობლემის გადასაჭრელად, რასაც თეთრიწყაროში წყლის მომარაგება ეწოდება.

მოუხედავად იმისა, რომ თქვენი N10-11/231 (31.01.12) წერილის შესაბამისად „მეტად კრიტიკული“ საჭიროებების მქონე ქუჩების ჩამონათვალი იყო „შერჩეული, შემოთავაზებული და შეთანხმებული“ (most critical streets that needed urgent rehabilitation were selected, proposed an agreed with EIB) ევროპის საინვესტიციო ბანკთან, თვითონ ბანკმა ჩვენ გვაუწყა, რომ პროექტების ფარგლებში ისეთი დეტალური საქმიანობა, როგორცაა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ქუჩების შერჩევა განმახორციელებლის პრეროგატივას წარმოადგენს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ჩვენთან შეხვედრაზე განაცხადეს, რომ ისინი არ მონაწილეობდნენ ამ პროექტის არც დაგეგმვაში და არც მის განხორციელებაში.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით განგვიმარტოთ, თუ რომელი უწყების მიერ იყო შემოთავაზებული და რომელი უწყების მიერ იყო შერჩეული (შემდგომ ევროპის საინვესტიციო ბანკთან შესათანხმებელი) ის 15 ქუჩა, რომელიც შევიდა „რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ქუჩების“ ჩამონათვალში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ¹, რომ სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში შესული ქუჩები სამწუხაროდ, არ ემთხვევა იმ ქუჩების ჩამონათვალს, რომელიც რეალურად საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას.

უფრო მეტიც, ქალაქში არის ე.წ. „კრიტიკული საჭიროებების“ მქონე ისეთი ქუჩებიც, რომლებიც არაა შესული სარეაბილიტაციო ქუჩების ნუსხაში იმ დროს, როცა ნუსხაში აღმოვაჩინეთ ქუჩები, რომლებსაც „ნაკლებად კრიტიკული საჭიროება“ გააჩნიათ. აღმოვაჩინეთ ისეთი ჩემთხვევებიც (მაგ. ლესელიძის ქუჩა), როდესაც მთლიანი ქუჩის აშკარა „გადაუდებელი საჭიროების“ მიუხედავად, სასმელი წყლის მაგისტრალი მხოლოდ ქუჩის მოკლე მონაკვეთზე იცვლება.

ჩვენმა კვლევამ ასევე გამოაშკარავა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას სასმელი წყლის სათბურებზე საჭიროებს, თუმცა, როგორც თქვენთვის ცნობილია, არც ამ ნაგებობის რეაბილიტაციაა შესული გასახორციელებელ სამუშაოთა ჩამონათვალში.

როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი სერვისცენტრის წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, თეორიულად წყლის მართებული მომარაგებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სასმელი წყლის დებეტის შევსება წარმოადგენს, რასაც ახალი მაგისტრალის მშენებლობა ესაჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ვაცნობიერებთ რესურსების შეზღუდულობას, მიგვაჩნია, რომ სწორად დაგეგმვის პირობებში ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნებოდა, მითუმეტეს, რომ როგორც ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, პროექტის ბიუჯეტში წილობრივი მონაწილეობა ადგილობრივ ბიუჯეტსაც აქვს (დამატებით 100 000 ლარი).

ყველაფერ ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. შეფასების დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს იმ საჭიროებებს, რომელთა მოსაგვარებლად დაიგეგმა სარეაბილიტაციო პროექტი და რომელშიც სავარაუდოდ მითითებული უნდა იყოს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეირჩა როგორც შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა, ასევე სარეაბილიტაციო ქუჩების ჩამონათვალი;
2. სარეაბილიტაციო პროექტში შემავალი კონკრეტული სამუშაოების ჩამონათვალი, კერძოდ: თითოეულ ქუჩაზე კონკრეტულად რა სახის სამუშაო იგეგმება, ანუ რომელ ქუჩაზე (თითოეულ მათგანზე) რა სიგრძის, განივკვეთისა და რა მასალის მილი რა

¹ დაინტერესების შემთხვევაში სიამოვნებით მოგაწვდით ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს.

სიღრმეზე მოთავსდება; შედის თუ არა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალში მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების დაკავშირება ცენტრალურ მილთან.

3. პასუხისმგებელი უწყებების/პირების ჩამონათვალი შემდეგ საქმიანობებზე:

- სარეაბილიტაციო ქუჩების პირვანდელ მდგომარეობამდე მიყვანაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ;
- საპროექტო სამუშაოების ხარისხის მონიტორინგზე;
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უფლებებზე.²

ასევე ცნობილია, რომ პროექტის დასრულების ვადაა 2 მარტი. როგორც თეორიულად, ისე მკვიდრი გატყობინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები ამჯერად არ მიმდინარეობს, ზოგიერთ ქუჩაზე სამუშაოები არც დაწყებულა, რაც შესაბამისად გამორიცხავს პროექტის დროულად დასრულებას. გათხოვთ შეგვატყობინოთ თუ რა ვადა განიხილება პროექტის დასასრულებლად.

P.S. მიგვაჩნია რა, რომ პროექტის მართებულად განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ჩართულობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თქვენი წერილის N10-11/231 (31.01.12) საპასუხოდ შემხვედრ მზადყოფნას გამოვთქვამთ თქვენთან თანამშრომლობისათვის თქვენთვის მისაღები ყველა ფორმით. მობარული ვიქნებით მონაწილეობა მივიღოთ, ან დავგვეგმოთ ერთობლივი ღონისძიებები, მოვაწყოთ შეხვედრები და ა.შ.

პატივისცემით,

გულიკო შოშიტაშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე



² გათხოვთ მიუთითოთ კონკრეტული პოზიციები და მათი (თითოეულის) საკონტაქტო ინფორმაცია.